საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების თაობაზე (2013-2014)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებები: გამოწვევები ეროვნული და ეთნიკური უმცირესობებისათვის და ცნობადობის ამაღლება

1დეკემბერი, 2014 წელი

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“

PUBLIC DEFENDER OF GEORGIA

© TemplatesWise.com

2013 წელი

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გასულ წელს პარლამენტში წარდგენილ ანგარიშში ,,2012 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების თაობაზე წარმოდგენილი იყო **3 თავი:**

1. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის ანგარიში (29 რეკომენდაცია)
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებებში ადამიანის უფლებების მდგომარეობის ანგარიში (68 რეკომენდაცია)
3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები (14 რეკომენდაცია)

სულ გაიცა 111 რეკომენდაცია, რომელთაგან საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 30 ივლისის საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე დადგენილებაში აისახა 10 მათგანი.

PUBLIC DEFENDER OF GEORGIA

2014 წელი

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მიმდინარე წელს პარლამენტში წარდგენილ ანგარიშში ,,2013 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების თაობაზე **წარმოდგენილია 2 თავი** :

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესებულებასა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში (15 რეკომენდაცია)
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა (47 რეკომენდაცია)

სულ გაიცა 62 რეკომენდაცია, რომელთაგან საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 ივლისის საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე დადგენილებაში აისახა 11 მათგანი.

PUBLIC DEFENDER OF GEORGIA

რეკომენდაციები:

- განცხადებების/საჩივრების შესწავლის საფუძველზე
- კვლევის/ანალიზის საფუძველზე
- მონიტორინგის საფუძველზე

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს

გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციისა და ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება.

კონვენცია რატიფიცირებულია, ფაკულტატური ოქმის გარეშე.

CRPD
CONVENTION ON THE RIGHTS OF PERSONS WITH DISABILITIES

PUBLIC DEFENDER OF GEORGIA

რეკომენდაციები:

საერთო სასამართლოებს

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სასამართლოების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობა.

სასამართლო სხდომების ჩატარებისას გათვალისწინებულ იქნას ზემოაღნიშნული გარემოება და სხდომები გაიმართოს იმ დარბაზებში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მხარეთა) დასწრება.

რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას

- საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეგულაციების რევიზია, დახვეწა და განახლება, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ყველა სფეროში მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები აღნიშნულ პირთათვის ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში.

2014 წლის იანვარში მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფა.

PUBLIC DEFENDER OF GEORGIA

რეკომენდაციები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- ჯანდაცვისა თუ სოციალური დაცვის ყველა სახელმწიფო პროგრამასა და სახელმწიფო დაზღვევაში გათვალისწინებულ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები
- ჯანდაცვისა თუ სოციალური დაცვის ყველა სახელმწიფო პროგრამა არ იყოს მიბმული სოციალურად დაუცველთა სტატუსთან, არამედ იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებაზე ორიენტირებული
- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მომსახურების ერთიანი სისტემის შექმნა დაბადებიდან 18 წლამდე.
- შეიმუშაოს შინ მოვლის/შინ მომსახურების სახელმწიფო პროგრამები;

PUBLIC DEFENDER OF GEORGIA

რეკომენდაციები:



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა ბავშვისათვის შესაბამისი მომსახურების მიწოდება მათი ოჯახების სიღარიბის სტატუსის მიუხედავად; ოჯახის მხარდამჭერი სოციალური პროგრამები დაკავშირებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის საჭიროებასთან და არა სოციალურად დაუცველის სტატუსთან;
- უზრუნველყოს 0-3 წლამდე ასაკის ბავშვებში შეზღუდული შესაძლებლობების დიაგნოსტიკა და მათთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება;
- უზრუნველყოს ბავშვზე ზრუნვის რეფორმის გაგრძელება დარჩენილი დიდი ზომის ბავშვთა დაწესებულებების დახურვის პროცესში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების უგულებელყოფის აღმოფხრისათვის;

რეკომენდაციები:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

- სმენის არმქონე და/ან მეტყველების შეფერხების მქონე პირების მიერ სასწრაფო სამედიცინო (საგანგებო) სამსახურებისადმი მიმართვის უცხოეთის ქვეყნებში გავრცელებული ხერხების შესწავლა და დანერგვა (მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიმართვა, ტელეკომუნიკაციის მოწყობილობა სმენის არმქონე პირებისათვის და ა.შ.);
- სასწრაფო დახმარების ეკიპაჟებსა და საავადმყოფოებში სურდო თარჯიმნის სერვისის არსებობა, რათა შესაძლებელი გახდეს სმენის არმქონე და/ან მეტყველების შეფერხების მქონე პაციენტებთან სრულფასოვანი ურთიერთობა.

2015 წლის აპრილიდან სსიპ 112 მიერ დანერგილი იქნება რეკომენდაციით მოთხოვნილი სერვისები ირლანდიის მაგალითზე.

PUBLIC DEFENDER OF GEORGIA

რეკომენდაციები:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

დანერგოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ძალადობისა და უგულებელყოფის თავიდან აცილების, ასეთი ფაქტების დროული გამოძიების და მათზე რეაგირების სისტემა;

ეს რეკომენდაცია არ შესრულებულა მიუხედავად იმისა, რომ ის ასახული იყო საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში.

PUBLIC DEFENDER OF GEORGIA

რეკომენდაციები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

- განახორციელოს ყველა ის ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართვას პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროცესებში, რათა აღმოიფხვრას ისეთი პრობლემები როგორიცაა: შიდა და გარე ინფრასტრუქტურის ადაპტირება, სასწავლო პროცესისას არასწორი მეთოდოლოგიის გამოყენება, ინდივიდუაური გეგმების არ არსებობა, პოზიტიური დისკრიმინაცია, ინკლუზიური პროგრამების არ არსებობა;
- უზრუნველყოს ინკლუზიური სტატუსის მქონე საჯარო სკოლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მაქსიმალურიჩართულობა, გარე და შიდა ინფრასტრუქტურის ადაპტირება.

PUBLIC DEFENDER OF GEORGIA

რეკომენდაციები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

- უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი ღონისძიებები რეგიონებში (მათ შორის მაღალმთიან რეგიონებში) მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, რათა რეალიზებულ იქნას ამ პირთა უფლება დაწყებით და საბაზო განათლებაზე;
- უზრუნველყოს უმაღლესი განათლების ინკლუზიის პროცესში ჩართვა და მისი ხელშეწყობა;
- ხელი შეუწყოს ინკლუზიური განათლების სისტემასა და დღის ცენტრებს შორის აქტიური თანამშრომლობას, რათა შესაძლებელი გახდეს ბავშვის შესაძლებლობის გათვალისწინებით მისი გადაყვანა ერთი სისტემიდან მეორეში;
- უზრუნველყოს მშობლების განათლების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება.

PUBLIC DEFENDER OF GEORGIA

რეკომენდაციები:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

- გრძელვადიანი განსახლების ფარგლებში დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის დროს გათვალისწინებულ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები, როგორც შენობათა გარე, ისე შიგა ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის თვალსაზრისით; შესაბამისი სტანდარტი და მოთხოვნები ასახულ იქნას საცხოვრებელი ბინების რეაბილიტაციისა და სამშენებლო საქმიანობის განმახორციელებელ იურიდიულ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში;

რეკომენდაციები:

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა სტატისტიკის წარმოება
- შეიმუშაოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმართა იდენტიფიცირებისა და საჭიროების შეფასების მექანიზმი
- უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და გონივრული მისადაგების მინიმალური სტანდარტები
- უზრუნველყოს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული სამედიცინო მომსახურების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯამრთელობის სპეციალური/განსაკუთრებული საჭიროებების დაკმაყოფილება
- შეიმუშაოს პატიმრობის პირობებზე ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ზრუნვის სტანდარტები
- დანერგოს შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული სპეციალიზებული მომსახურებები

რეკომენდაციები:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

- რეგიონული განვითარების პროექტების განხორციელებისას, რომელიც დაკავშირებულია რეგიონების ინფრასტრუქტურული მომსახურებისა და ინტიტუციონალური შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან, გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსაკუთრებული საჭიროებები, როგორც შენობაში შეღწევადობის, ისე შენობის შიდა და გარე ინფრასტრუქტურით სარგებლობის თვალსაზრისით;

- საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარები, ავტოპარკინგი, ავტოსაგზაო მარეგულირებელი ნიშნები და მოწყობილობები) განახლებისას გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსაკუთრებული საჭიროებები.

- პანდუსებზე გაჩერებული მანქანების დაჯარიმების სისტემის შექმნა და მკაცრი სანქციების იმპლემენტაცია

PUBLIC DEFENDER OF GEORGIA

მადლობა ყურადღებისათვის

PUBLIC DEFENDER OF GEORGIA